



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო კ მ ი N6

ქალაქი ბათუმი
ოქტომბერი

2022

წლის 31

11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე - რამაზ ჯინჭარაძე

ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

- | | | |
|-------------------|---|---|
| ირაკლი თავდგირიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; |
| ნატალია ზოიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| მინდია გოგუაძე | - | საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების
კომისიის თავმჯდომარე; |
| დავით მახარაძე | - | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ლევან ცხოიძე | - | საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა
და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| გოჩა მგელაძე | - | საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური
განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ნერიმან ცინცაძე | - | საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| თენგიზ აფხაზავა | - | საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე; |

ასლან ბალაძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
თეონა ბერიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
როსტომ ხალვაში	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ცხვარაძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან ბერიძე	- ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნოდარ დუმბაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნაზი ფუტყარაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ბაჩი მექვაბიშვილი	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნატო ნაცარაშვილი	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
მამუკა ქობულაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ლომთათიძე	- საკრებულოს წევრი;
ლევან დოლიძე	- საკრებულოს წევრი;
აკაკი გვიანიძე	- საკრებულოს წევრი;
რევაზ ხარაზი	- საკრებულოს წევრი;
რიჩარდ სირაბიძე	- საკრებულოს წევრი;
ნატალია ძიმიგური	- საკრებულოს წევრი;

- ვაჟა დარჩია - საკრებულოს წევრი;
- თეკლა კავაზაშვილი - საკრებულოს წევრი;
- ალექსანდრე ვარშალომიძე - საკრებულოს წევრი;
- ირაკლი ზოიძე - საკრებულოს წევრი;
- ქეთევან ლასტაკანიძე - საკრებულოს წევრი;
- ეკატერინე ზარია - საკრებულოს წევრი;
- ილია ჯინჭარაძე - საკრებულოს წევრი;
- კახაბერ ქაშიბაძე - საკრებულოს წევრი.

არ ესწრებოდნენ:

- ლაშა კილაბერია - საკრებულოს წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მამუკა რამიშვილი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჭარაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - სოფო მიქელაძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე;

- ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ დირექტორი - ჯაბა ბერიძე;

- ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ დირექტორი - აკაკი ბერიძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი - რუსუდან ჟოჟაძე;

- შპს „ბათუმის წყალის“ დირექტორი - ალექსანდრე მუჟავანაძე;

- ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ დირექტორი - არჩილ კონცელიძე;

- ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრის სასწავლო პროცესის მართვისა და მარკეტინგის განყოფილების“ უფროსი - უჩა აბრამიშვილი

- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) აჭარის ფილიალის თავმჯდომარე - პაატა დიასამიძე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;

- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე;

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ. მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და დღის წესრიგით განსახილველ საკითხებზე გადასვლამდე აღნიშნა საკრებულოს ფრაქციაში „ერთიან ნაციონალურ მოძრაობა“ მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს განხორციელებული თანამდებობრივი ცვლილებების შესახებ, კერძოდ: ფრაქციის თავმჯდომარის ლაშა კილაბერიას გადადგომის, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის ნოდარ დუმბაძის ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობაზე და ფრაქციის წევრის მამუკა ქობულაძის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ. უსურვა წარმატებები, კონსტრუქციული ურთიერთობა და ქალაქისთვის კარგი საქმეების კეთება. ასევე მშვიდობიანი დაბრუნება მიულოცა საკრებულოს წევრს, ირაკლი ზოიძეს და უკრაინელ ხალხს უსურვა მშვიდობა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ აღნიშნა დღის წესრიგით წარმოდგენილ განსახილველ 17 საკითხთან დაკავშირებით კითხვების არსებობის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა, რევაზ ხარაზმა მოითხოვა დღის წესრიგიდან განსახილველი შრომის ანაზღაურების საკითხის ამოღება ან დაკორექტირება, რადგან ეთანხმება დაბალი თანამდებობის პირებზე და საბავშვო ბაღის თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურების ზრდას, მაგრამ წინააღმდეგია პოლიტიკური თანამდებობის პირებზე ხელფასების ზრდის.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ზურაბ ნაკაიძემ გააკეთა განმარტება, რომ წლების განმავლობაში იყო განსხვავება პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებას შორის. ამჯერად სტატუსის მიხედვით მოხდა მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივი გათანასწორება, რაც მანამდე ბევრად დაბალი იყო.

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარემ, თენგიზ აფხაზავამ არამიზანშეწონილად მიიჩნია საკრებულოს წევრის, რევაზ ხარაზის წინადადება და განაცხადა საკითხის განხილვის დროს დეტალური ანგარიშის გაკეთების თაობაზე.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ წამოაყენა წინადადება მონაწილეობითი ბიუჯეტირების განსაზღვრაზე, რაც იქნება ბიუჯეტის სოლიდური თანხის კონკრეტული ოდენობა, რომელსაც მოქალაქე დაგეგმავს საკუთარი სურვილისა და ნების მიხედვით.

საკრებულოს წევრმა, ნაზი ფუტკარაძემ გამოთქვა მოსაზრება ძირითადი თანხების თავდაპირველად სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარები-

სათვის მიმართვისა და დანარჩენი თანხის მცირეხელფასიან საჯარო მოხელეებზე გადანაწილების თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს წევრის რევაზ ხარაზის წინადადება დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 34

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16 (ნ.დუმბაძე, ბ.მექვაბიშვილი, ნ.ფუტყარაძე, რ.ხარაზი, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია, ი.ზოიძე, ა.ვარშალომიძე, თ.კავაზაშვილი, კ.ქამიბაძე, მ.ქობულაძე, ი.ჯინჭარაძე, ნ.ნაცარაშვილი, ვ.დარჩია, ა.გვიანაძე ნ.ძიმიგური)

წინააღმდეგი - 18 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე)

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (რუსთაველის ქ.№20)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი)

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (რუსთაველის ქ.N21)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი)

საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (ფრიდონ ხალვაშის ქ.N88)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი)

საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ფართების, ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

საკითხი 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, ინასარიძის №1 და №3 საცხოვრებელ სახლებს შორის არსებული 38,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

საკითხი 9. „ბათუმის ველოგადაადგილების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი რუსუდან ჟოჟაძე)

საკითხი 10. „მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელი“-ს ფარგლებში გრანტის მიღებასა და ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი რუსუდან ჟოჟაძე)

საკითხი 11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს.:ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავქარამე)

საკითხი 12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს.:ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავქარამე)

საკითხი 13. „გაეროს ბავშვთა ფონდისგან გრანტის მიღებაზე საქართველოს მთავრობისთვის შუამდგომლობის წარდგენასა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - სოფიო მიქელაძე)

საკითხი 14. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი სოფიო მიქელაძე)

საკითხი 15. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საკითხი 16. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

საკითხი 17. „ქალაქ ბათუმში, ნ. დუმბაძის ქუჩა N3-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე არქიტექტორ კახა ჯავახიშვილის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხიძე)

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი, დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 34

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური)

წინააღმდეგი - 13 (ნ.დუმბაძე, ზ.მექვაბიშვილი, ნ.ფუტყარაძე, რ.ხარაზი, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია, ი.ზოიძე, ა.ვარშალომიძე, თ.კავაზაშვილი, ვ.ქაშიბაძე, მ.ქობულაძე, ი.ჯინჭარაძე, ნ.ნაცარაშვილი)

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (ა.გვიანიძე, ვ.დარჩია)

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში გადაგზავნა.

საკრებულოს წევრმა, რევაზ ხარაზმა ისაუბრა ბათუმის ახალი სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციისათვის დიდი ოდენობით ხარჯის გაწევის, რეაბილიტაციის მიუხედავად ქალაქის კვლავ დატბორვის, ინფრასტრუქტურის განადგურების და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობის ზრდის ფონზე პოლიტიკური

თანამდებობის პირებისათვის ხელფასების ზრდის თაობაზე და უარი განაცხადა დღის წერიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე.

საკრებულოს წევრმა, მინდია გოგუაძემ საკრებულოს წევრს, რევაზ ხარაზს მოუწოდა არგუმენტირებული და დოკუმენტურად დასაბუთებული განცხადებების გაკეთებისაკენ.

საკრებულოს წევრმა, რევაზ ხარაზმა სხდომა დატოვა.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარემ, ნოდარ დუმბაძემ გაამახვილა ყურადღება, ბოლო რამდენიმე სხდომაზე ქალაქის მერის დაუსწრებლობაზე, ქალაქის სამსახურის ხელმძღვანელებთან კომუნიკაციის პრობლემაზე და მოუწოდა თანამშრომლობისკენ, რათა როგორც მაკონტროლებელი ორგანოს წარმომადგენლებს მიეცეთ უფლემამოსილების განხორციელების საშუალება. ასევე წინასწარ გამოთქვა ფრაქციის მოსაზრება, ხელფასების მატების საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ფრაქცია ვერ დაუჭერს მხარს ისეთ ბიუჯეტს, სადაც არამართო საჯარო მოხელეების ხელფასის ზრდა, არამედ პოლიტიკური თანამდებობის პირების ხელფასების ზრდაც არის და მიუღებელია იმ ფონზე, რა ფონიც, რა სოციალური მდგომარეობაც აქვს ქალაქს/სახელმწიფოს.

საკრებულოს წევრმა, ნატალია ძიძიგურმა წამოაყენა საინიციატივო წინადადება საკრებულოში მრავალპარტიული ანტიკორუფციული კომისიის შექმნის თაობაზე და აღნიშნა, რომ თანამედროვე კონცეფციები, ახალი საჯარო მენეჯმენტი და ხელმძღვანელობა ყურადღებას ამახვილებენ: საჯარო მმართველობის ეფექტურობაზე, პოლიტიკურ პლურალიზმზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფრო დაბალანსებული ძალაუფლების გადანაწილებაზე, გამჭვირვალობაზე, პასუხიმგებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე. ბოლო პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები ნათლად ცხადყოფს, რომ მმართველობით აღმასრულებელ რგოლში არსებობს სისტემური პრობლემები, რაც შეიძლება შეიცავდეს სისტემური კორუფციის ნიშნებს, კორუფციის არსებობა ასუსტებს დემოკრატიას, ამცირებს საზოგადოებაში არსებულ ნდობის ხარისხს, ხელს უშლის ეკონომიკის განვითარებას, რაც თავის მხრივ ასუსტებს თვითმმართველობასაც, სადაც იქმნება რიგი პრობლემები: უსამართლო სოციალური დახმარებების განაწილება, დაგვიანებით ან უხარისხოდ მიწოდებული მუნიციპალური სერვისები, უსაფრთხოების ნორმების დარღვევით განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები და მრავალი სხვა. ანტიკორუფციული კომისია კი შეისწავლის ზმოადნიშნულ საკითხებს. კოლეგებს მოუწოდა საკითხზე მსჯელობისაკენ.

საკრებულოს წევრმა, ალექსანდრე ვარშალომიძემ ისაუბრა ქვეყანაში ბინის ქირის გაძვირებასთან და შესაბამისი ზომების მიღებასთან დაკავშირებით. ასევე სანიაღვრე და საკანალიზაციო კომუნიკაციების მოუწესრიგებლობის თაობაზე. სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრულ ხელფასებთან დაკავშირებით საკითხში ემხრობა საკრებულოს წევრის, რევაზ ხარაზის აზრს და საკითხის განხილვაში არ მიიღებს მონაწილეობას.

საკრებულოს წევრმა, ალექსანდრე ვარშალომიძემ სხდომა დატოვა.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ, მამუკა ქობულაძემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს ახალი თანამდებობის მოლოცვისთვის, ასევე უძღვრად ყოფნის პერიოდში გამოჩენილი გულიხმიერებისთვის და აღნიშნა, რომ პარტია და ფრაქცია მიესალმება ხელფასების მატებას, მაგრამ ქალაქში არსებული მთელი რიგი პრობლემებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიაჩნია გაგრძელდეს საკრებულოს წევრის რევაზ ხარაზის პათოსი და ამ ეტაპზე მაინც თავი შეიკავონ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირებზე ხელფასების მატებისაგან.

საკრებულოს წევრმა, ვაჟა დარჩიამ მშვიდობიანი დაბრუნება მიულოცა საკრებულოს წევრს, ირაკლი ზოიძეს მხარი დაუჭირა ნატალია ძიძიგურის საინიციატივო წინადადებას მრავალპარტიული ანტიკორუფციული კომისიის შექმნის თაობაზე. ასევე აღნიშნა ლერმონტოვის და ჭავჭავაძის ქუჩების კვეთაში სანიაღვრე კომუნიკაციების მოუწყესრიგებლობის თაობაზე: „კორუფცია თუ არაა, თუ ხარისხით კეთდება, რატომ არის ისევ დატბორილი მთელი ქალაქი და ამ ყველაფრის ფონზე კიდევ ერთი სასწაული კომიკური ამბავი გვჭირს ხელოვნური კუნძულის მშენებლობის სახით“ და ითხოვა პრეზენტაციის გაკეთება შპს „ამბასადორ აილენდის“ ჯგუფისაგან ხელოვნური კუნძულის შექმნის თაობაზე და აღნიშნა: „ხელოვნური კუნძულის ქონა სახარბიელოა, მაგრამ რანაირად აპირებენ ზღვის დამორჩილებას, მაშინ როცა ორ საათიანი წვიმა ქალაქის პარალიზების მიზეზი ხდება“.

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილემ, ნინო ცხვარაძემ გააკეთა განცხადება ფრაქციის წევრობის და შესაბამისად ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის დატოვების შეახებ. ის მოძრაობას „ხალხის ძალა“ შეუერთდა.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ, ნაზი ფუტყარაძემ ისაუბრა შემდეგ გადაუდებელ პრობლემებზე:

- მარკოზ აჭარელის მე-4 ჩიხში დამწვარია გარე განათება, წვიმის დროს ნიაღვარი მოედინება, სავალი გზა იკეტება, ვეღარ გადაადგილდება ვერც მანქანები და ვერც ფეხით მოსიარულეები. გავსებულია ურნები, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება უარეს დღეში ჩააგდო ამ უთავბოლოდ დაწყებულმა და დროში გაწელილმა ინფრასტრუქტურის სარემონტო სამუშაოებმა. უნდა გაკონტროლდეს აღნიშნული და დროულად შესრულდეს ამ ჩიხის სრული რეაბილიტაცია და მოასფალტება.

- მწვანე კონცხზე, მაგნოლიის პირველ ნომერში საცხოვრებელი სახლი ავარიული სახლების სიაშია, მაგრამ არანაირი რეაგირება არაა, ეროზირებული მიწა გარე განათების ბოძებსაც ვეღარ აკავებს და წაქცეულია. მოზინადრეებს აქვთ საცხოვრებელი ფართის პრივატიზების პრობლემა;

- მახინჯაურში, ქალაქის ტერიტორიაზე, კონცელიძის ქუჩაზე, თამარ მეფის შესახვევში თავდაპირველად გაკეთებული დამცავი კედელი წაქცეულია, იქვე მაცხოვრებლებს ახალი გაუკეთებიათ, შემდეგ ტენდერში გამარჯვებული კომპანიას სამუშაოები ისე ჩაუტარებია, რომ მოვარდნილი ნიაღვარი სახლებში უვარდება

მოსახლეობას, იტბორება მათი საცხოვრებელი ბინები. შესაბამისად სასწრაფო რეაგირება არის მისაღები.

- თამარის დასახლებაში ბარაკებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებლები ავარიულია და კარგი იქნება, თუ დაკმაყოფილდებიან აღნიშნული ოჯახები იქვე „ავარიული სახლების პროგრამით“ მშენებარე კორპუსში საცხოვრებელი ბინებით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ განუმარტა, რომ ყველა ჩამოთვლილ პრობლემებთან დაკავშირებით უკეთესია შეიკრიბნონ კომპეტენტურ სამახურებთან ერთად და განიხილონ ყველა საკითხი ერთად.

საკრებულოს წევრმა, ქეთევან ლასტაკანიძემ ისაუბრა უხვი ნალექის დროს ქალაქის დატბორვის, მახინჯაურის მიმდებარე ტერიტორიაზე უნივერსიტეტთან ავტობუსის გაჩერებასთან მოსაცდელის არ არსებობისა და მარტივი კონსტრუქციის მოსაცდელის დადგმის თაობაზე, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ეს საკითხი ჩაისმება ბიუჯეტში და მომავალ წელს შესრულდება მოთხოვნა სასტუდენტო გაჩერებათან დაკავშირებით. რაც შეეხება დატბორვას, არც ერთი ქუჩა არ უნდა იტბორებოდეს, როცა კეთდება, მაგრამ გააჩნია ნალექსაც, რომელსაც ვერანაირი სანიღვრე არხი, ვერანაირი სისტემა ვერ გაატარებს, სამწუხაროდ არის ასეთი ლოკაციები ბათუმში და იმედია, რომ სამომავლოდ ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზურაბ ნაკაიძემ მადლობა გადაუხადა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურების - ბათუმის წყლის, კეთილმოწყობის და სანდასუფთავების სამსახურების თანამშრომლებს 24 საათის განმავლობაში სტიქიასთან ბრძოლისთვის და აღნიშნა, რომ 2005 წლიდან მიმდინარეობს ქალაქის მიწისქვეშა სისტემის შეცვლა. ერთი სანასოსე გაკეთდა არდაგანის ტბაზე, მეორე კი გასაკეთებელია ინასარიძის მხარეს ჟილინის არხთან, რომლიც „kfw“ პროგრამით 2024 წელში იწყება. ქალაქში ზოგი უბნები ნული ნიშნულის ქვევითაა და ვერ ატარებს დიდ ნალექს, შესაბამისად გასაკეთებელია ნასოსები, რომელიც არც ისე იაფი ჯდება.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარემ ნოდარ დუმბაძემ დასვა კითხვა, თუ კვლავ რატომ იტბორება რეაბილიტირებული სულაბერიძის, შავშეთის, ბერიძის და იმედაშვილის ქუჩები და კვლავ გასაკეთებელია სანიაღვრე და საკანალიზაციო კომუნიკაციები, რაზედაც საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, მინდია გოგუაძემ განმარტა, რომ სანიაღვრე და საკანალიზაციო კომუნიკაციების 70 პროცენტი მოგვარებულია და დარჩენილია 30 პროცენტი, რომლებიც ე.წ. ნულის ნიშნულის ქვემოთაა და შეუძლებელია ამის გაკეთება, მაგრამ არის მსჯელობა ამ პრობლემის გამოსწორებაზეც, რომელსაც დრო სჭირდება. ასევე მიმართა საკრებულოს წევრს, ვაჟა დარჩიას კორუფციაზე ისაუბროს არა ზედაპირულად, არამედ არგუმენტირებულად, დასაბუთებულად და კონკრეტულ ფაქტზე კონკრეტული დოკუმენტის წარმოდგენით. ასევე ისაუბრა აუდიტის სამსახურის დასკვნის თაობაზე და განმარტა, რომ აუდიტის დასკვნა არ არის კონკრეტული ფაქტი, აუდიტის დასკვნა არის რეკომენდაცია, რომელიც არის გასათვლისწინებელი და ყველა სამსახური ითვალისწინებს აუდიტის სამსახურის

რეკომენდაციებს, თუ გადაცდომაა და სისხლის სამართლის ნიშნებს შეიცავს დროულად ხდება რეაგირება.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ მსგავსი გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით არა კორუფციის ფაქტების, არამედ კორუფციის რისკების აღმოფხვრისაკენ მოუწოდა, რაც არის საკრებულოს მისია, რადგან საკრებულოს არ აქვს იმის კომპეტენცია, რომ კორუფციის კონკრეტული ფაქტები შეისწავლოს. რაც შეეხება ხელფასების ზრდის საკითხს აღნიშნა, რომ მიესალმება თანამშრომლებისათვის ხელფასების მატებას, განსაკუთრებით საბავშვო ბაღის, სანდასუფთავების და გამწვანების თანამშრომლებისთვის და ბევრი სპეციალისტებისათვის, რომლებიც ღირსეულად ასრულებენ თავის საქმეს. უპირველესად მნიშვნელოვანია ღირსეული ანაზღაურება ქონდეს ადამიანს, რომ შემდგომში არ გაიზარდოს კორუფციის ნიშნები.

ასევე მიმართა მერიის სამსახურების წარმომადგენლებს, მოსახლეობის შემდეგ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით:

- 24 ოჯახი მაქაცარიას ქუჩის N1 და 3/5-ში უმძიმეს მდგომარეობაშია. სახლის სახურავი ამორტიზირებულია, კედლები დაზარალებული, საყრდენი ბოძები დაჟანგული, კიბე გამაგრებულია კუსტარულად და ნებისმიერ დროს შეიძლება ჩამოიქცეს. არ აქვთ წყალთან და სველ წერტილთან სახლში შეხების შესაძლებლობა. ეს ადამიანები ელოდებიან სახელმწიფოსგან ხსნას, მაგრამ არ ხერხდება იმის გამო, რომ შენობას 2008 წელს, სრულიად უპაუხისმგებლოდ, ადგილზე შეუსწავლელად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული, მაგრამ თუ ეს კულტურული მემკვიდრეობაა და მნიშვნელოვანია ქალაქისთვის/ქვეყნისთვის, მაშინ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო და შესაბამისი სახელმწიფო უწყებები უნდა უზრუნველყოფდნენ სარეაბილიტაციო სამუშაოებს და არ აგდებდნენ ადამიანებს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის ქვეშ. ამავდროულად ამ ადამიანებს არ შეუძლიათ საუთარი კერძო საკუთრებით რეალურად სარგებლობა, ვერც კომუნალურ პირობებს იუმჯობესებენ და ინვესტორიც არ ეკარებათ, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ყველა უწყება/ორგანიზაცია დაინტერედეს ამ ადამიანების მდგომარეობით.

- გორგილადის 24 ნომერში, საცხოვრებელი სახლი რომელიც, ამ შემთხვევაში არ არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, იშლება მთლიანად, ჩავარდნილია იატაკი, დაზარალებულია კედლები. დარჩენილია რამდენიმე ოჯახი, მათ შორის იქ ცხოვროს 77 წლის დამსახურებული ქალბატონი. ამ ოჯახებს არ აქვთ სხვაგან წასვლის საშუალება და ფაქტიურად ბედის ანაბარად არიან დარჩენილნი.

- ბათუმის ნაგავსაყრელი, სადაც პრაქტიკულად ქალაქი არის გაშენებული, უმძიმეს პირობებში ცხოვრობს მობინადრეები.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ - ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ სხდომაზე დამსწრე მერიის სამსახურების წარმომადგენლებს რეაგირება ექნებათ ზემოაღნიშნულ, წლების მანძილზე არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით და შეახსენა სხდომაზე დამსწრეთ, რომ სწორედ ქართული ოცნების დროს დაიწყო ხალხისთვის მიმართული ნაბიჯების გადადგმა, დაწყებული ხელმისაწვდომი საცხოვრისით, მრავალშვილიან ოჯახებზე ბინების გადაცემით.

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ისტორიას არ ახსოვს ისეთი თემა, როგორცაა - უსახლკაროების თემა, რომელიც დღევანდელ სხდომაზე უნდა დამტკიცდეს.

საკრებულოს წევრმა, თეკლა კავაზავილიმა ისაუბრა ბათუმის ცენტრში არებული ველობილიკების კაფე-ბარების და რესტორნების სივრცეებში მოქცევაზე. ლუკა ასათიანის, ვაჟა-ფშაველას და ბესიკის ქუჩების კვეთაში, სახელმწიფო ქონების-ტროტუარების მოსახლეობის მიერ სხადასხვა დანიშნულებით მითვისებაზე და ითხოვა რეაგირება კონკრეტული სამახურების მხრიდან.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარემ ნოდარ დუმბაძემ აღნიშნა, რომ ჭავჭავაძის და თაყაიშვილის კვეთიდან, თაყაიშვილის ქუჩიდან პუშკინის ქუჩაზე მისვლამდე არის ენერგოპროჯორჯიას ბომები, სადაც არის გაყვანილობა ელექტრომაგვთულების. მოსალოდნელია მათი წაქცევა, რაც გამოიწვევს სავალალო შედეგს. ასევე მარტივად მოსაგვარებელ პრობლემას შეეხო, ქალაქის ტერიტორიიდან (აეროპორტის დასახლება, ბაგრატიონის ქუჩა და ყინულის სახლის მიმდებარედ) ე.წ. ტრაილერების გაყვანას, რაზედაც საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი ერთი კვირის წინ დააყენა და თუ ეს მუიციპალიტეტის სამსახურების მოსაგვარებელია და არ მოგვარდება, გატარდება შესაბამისი ზომები.

საკრებულოს წევრმა, ირაკლი ზოიძემ ითხოვა ქალაქის ქუჩების დაახელებები-სათვის სახელწოდების შეცვლა, ან ძველის დაბრუნება.

საკრებულოს წევრმა, ბაჩი მექვაბიშვილმა ისაუბრა კორუფციასთან დაკავშირებით, კერძოდ:

- ქალაქში არსებული მოუწესრიგებელი განათებების პირობებში მილიონებით თანხის სამუშაოების შემსრულებელზე გადახდის თაობაზე;
- ურეხში საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის დიდი ოდენობით თანხის დახარჯვის (საბავშვო ბაღი კი ფაქტიურად დანგრეულია) თაობაზე;
- ტენდერში გამარჯვებული სამუშაოების მწარმოებელი კომპანიის გაკოტრების გამო ბადრატიონის ქუჩის რეაბილიტაცია დაუსრულებლობის თაობაზე, რაც კომპანიას არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან;

ასევე ისაუბრა რუსული გემების ბათუმში შემოსვლასა და პურის ხორბალის შემოტანასთან დაკავშირებით, რაზედაც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნატალია ზოიძემ მოუწოდა საკრებულოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე საუბრისაკენ.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების თაობაზე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №26

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას, წარმოადგინა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების პროექტი და აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილებები ეხება, როგორც შემოსულობების, ისე ხარჯვით ნაწილს. დღეის მდგომარეობით გვაქვს შესაძლებლობა, რომ გარკვეული ფინანსური რესურსი იქნეს მოზიდული და დამატებით იქნეს მიმართული რიგ ღონისძიებებზე, რაც შესაბამის კომისიებზე იქნა განხილული.

შემოსავლების ნაწილი იზრდება გადასახადების სახეებიდან მიღებული ფინანსური რესურსის ხარჯზე, არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, დამატებით იქნა ფინანსური რესურსები მობილიზებული ბათუმის მუნიციპალიტეტში, კერძოდ: ქონებისა და დამატებითი ღირებულების გადასახადებს, საიდანაც ჯამში 12 106 000 ლარი იქნება მომართული, ასევე სხვა შემოსავლები, რომელიც შეეხება შემდეგ სახეებს: პროცენტებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიცაა მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსური რესურსის განთავსება კომერციული ბანკის ანგარიშებზე და იქედან დარიცხული სარგებელი, ასევე სხვა არაკლასიფიცირებული ტრანსფერები, რომელიც რიგ შემთხვევაში წარმოადგენს კონტრაქტორების დაჯარიმებიდან მიღებულ შემოსავლებს, რომლებმაც არაჯეროვნად ან არაკეთილსინდისიერად შეასრულეს სამუშაოები და მათზე დაკისრებული პირგასამტეხლოებიდან იქნა მიღებული მოსაკრებლები.

საერთო ჯამში შემოსულობები იზრდება 6 892 000 ლარით, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებიდან მისაღები ფულადი სახსრების ნაწილი 2023 წლისთვის გადაიდო, რის მიზეზი არის ელექტრონული აუქციონით ქონების გაყიდვა, ორჯერ აუქციონი არ შედგა (შემდგომ შესრულებული აუქციონის შესაბამისად გაფორმებული კონტრაქტებიდან გადახდა უწევთ მომავალ წელს) ამიტომ ამ დაანგარიშებით მოხდა ფინანსური რესურსის შემცირება მიმდინარე წელს.

ხარჯვის ნაწილში ბიუჯეტი მილიონ ნახვარი ლარით იზრდება. გარდა შემოსავლებისა აქ მნიშველოვანი ნაწილი მოდის იმ ფინანსური რესურსების მობილიზებაზე, რომელიც სამუშაოების დასრულებიდან და ასევე გამოცხადებული სახელმწიფო შესყიდვების ეკონომიებიდან იქნა მიღებული, რომელიც შემდგომში ამოღებულ იქნა და სხვადასხვა მიმართულებით იქნა გადანაწილებული. კერძოდ:

წარმომადგენლობითი და აღმსრულებელი ორგანოების მიმართულებით მცირდება 3 226 400 ლარით, რომელშიც მოიაზრება მუნიციპალიტეტის მიერ სასესიო მომსახურების ვალდებულებების დაფარვაზე გადასახდელი თანხები, კურსის სტაბილურობიდან გამომდინარე, წლის დასაწყისში დაგეგმილი ბიუჯეტის ევროსთან მიმართებაში გადაანგარიშება მოხდა. ეს რესურსი იქნა ამოღებული და მიიმართა სარეზერვო ფონდზე, რომელიც ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოქალაქეებისათვის და ასევე მძიმე ჯანმრთელობის დაცვის კუთხით ოპერაციული მკურნალობის დაფინანსებაზე იქნება გამოყენებული. ამ კუთხით 500 000 ლარი გამოიყო დამატებით.

ინფრასტრუქტურის მიმართულებით დაემატა 5 126 100, აქ მოდის ზრდა გარდა ეკონომიების ხარჯზე, ძირითადად ორი მიმართულებით, ერთი ეს არის სანიაღვრე არხის გამაგრებით სამუშაოებზე, კერძოდ, მშენებელი კომპანიის მიერ სამუშაოს

წინსწრებად დასრულების გამო 700 000 ლარამდე იზრდება და ასევე, როგორც მოგეხსენებათ მუნიციპალიტეტი ახორციელებს ქალაქის ტერიტორიაზე ელექტროგანათებების ლედსანათებით ჩანაცვლებას, კომპანიის მირ წინსწრებად შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით მიმდინარე წელს მომავალი წლების შემცირების ხარჯზე გაიზრდება 5 585 000 ლარით.

ეკოლოგიის, პარკების და სკვერების მიმართულებით მცირდება 1 121 000 ლარით. ფინანსური რესურსი დამატებით მიიმართა ქალაქის გამწვანების ღონიძიებებზე და სახელფასო მიმართულებით ზრდასთან დაკავშირებით. ამ ორგანიზაციაში დასაქმებულ თანამშრომლებზე იზრდება ფინანსური რესურსი, ჯამში 218 800 ლარით.

ბოტანიკური ბაღი მთლიანად საკუთარ ფინანსურ ფარგლებში ფინანსდება და დააფინანსებენ თვითონ მათთან გაზრდილ სახელფასო ფინანსურ რესურსს.

საბავშვო ბაღების მიმართულებით 460 000 ლარი ემატება, რომელიც სახელფასო პოლიტიკის მიმართულებით მიღებულ გადაწყვეტილებას ხმარდება, კერძოდ: ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით, ბოლო ორი წელია სისტემატურად იზრდება ხელფასები, წელს იანვრის დასაწყისში გაიზარდა, ეხლა და სამომავლოდაც იანვრიდან ახალი წლის ბიუჯეტშიც გათვალისწინებული იქნება ამ მიმართულებით სახელფასო პოლიტიკის გაზრდა.

სპორტის და კულტურის დარგში 436 000 ლარით იზრდება ფინანსური რესურსი სახელფასო პოლიტიკის შესაბამისად, ამ დარგის მიმართულებით საქმიანობის მქონე ორგანიზაციებში: სპორტული ცენტრი, კულტურის ცენტრი, ბიბლიოთეკა, საცხენოსნო და საჭადრაკო კლუბები. ასევე სპორტული ცენტრისთვის ელექტროენერჯის დიდი მარაგით გამოყენების საჭიროებიდან გამომდინარე და ფუნქციონირებისთვის დამატებით 70 000 ლარი გამოიყო. ბიბლიოთეკის სარეკონსტრუქციო სამუშაოები და ამ სამუშაოების დროს არსებული წიგნადი ფონდის შეფუთვის ან გადაადგილებისთვის დამატებით 52 000 ლარი გამოიყო.

სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის მიმართულებით ბიუჯეტი იზრდება 600 000 ლარამდე, აქედან გაიზრდება 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსის ჩატარება, ასევე ძვლის ტვინის გადანერგვა, ბენეფიციართა გეგმიური მკურნალობის მიმართულებით დაფინანსება. 280 000 ლარით იზრდება ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათებით მოსარგებლე პირთა დაფინანსება.

სასადილოების პროგრამა, სადაც უზრუნველყოფთ სოციალური სტატუსის მქონე ბენეფიციარების კვების საფასურის დაფარვას, გათვალისწინებული იქნება საახალწლო სასაჩუქრე პაკეტი, რისთვისაც გარკვეული სახის სურსათი იქნება დამატებით შესყიდული აღნიშნული პირებისათვის.

ბიუჯეტში იზრდება სახელფასო რესურსი 1 500 000 ლარით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის კომერციული და არაკომერციული იურიდიული დაწესებულებებისთვის ანუ შპს და ა(ა)იპ-ებისთვის.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა, ვაჟა დარჩიამ მოითხოვა განმარტება, ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი 52 0000 ლარი კონკრეტულად რისთვისაა მიმართული, რაზედაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა, მერაბ ქიძინიძემ უპასუხა, რომ წიგნის ეს ფონდი გადადის სტადიონის ტერიტორიაზე, ერთ-ერთ

ინფრასტრუქტურაში, სადაც შეინახება სარეკონსტრუქციო/გამაგრებითი სამუშაოების დამთავრებამდე. სამხარაულის ექსპერტიზა დასრულებულია, დასკვნა დადებულია და მიმდინარეობს წიგნების მთლიანი მარაგის შეფუთვა.

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილემ, თეონა ბერიძემ განაცხადა, რომ მკითხველთა წრის მიერ წიგნის ჩაბარებასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ შეიქმნება, რადგან ბიბლიოთეკას აქვს ფილიალი ჯავახიშვილის ქუჩაზე და ადმინისტრაცია მოაგვარებს ფუნქციები, რაც ეკისრებოდა ძირითად კორპუსს გადატანილ იქნება ჯავახიშვილის ქუჩაზე.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ დასვა კითხვა არაფინანსური აქტივების კლებასთან დაკავშირებით შექმნილი პრობლემის თაობაზე, რომლისგანაც განპირობებულია მინუს ცხრა მილიონი, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში მყოფი ობიექტების ელექტრონული აუქციონის შედეგად დადებული შედეგების მიმართებით, ამ კონკრეტული ფაქტის შემთხვევაში, ქობულეთის ტერიტორიაზე მდებარე ჩვენი საკუთრების ე.წ. მეზღვაურთა სახლის, რომლის პრივატიზება დაგეგმილი იყო გაზაფხულის პერიოდიდან, ორი აუქციონი არ შედგა და კვლავ დამატებით გამოცხადების შემდეგ ეხლახანს დასრულდა, მაგრამ ყველა აუქციონს აქვს გადახდის გარკვეული პერიოდი - ექვსთვიანი, შვიდთვიანი, ცხრათვიანი, ანუ ქონების ღირებულების შესაბამისად და ამის გადახდის განვადების/განწილვადების შესაბამისად გადადის 2023 წელს. ამ რესურსის ამოღებას რაიმე უარყოფითი მიმართულება არ მიუცია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის, უბრალოდ ქონება ვინც შეიძინა ხელშეკრულებით გადახდის ძირითადი ნაწილი უწევს 2023 წელს და შესაბამისად ეს ნაწილი ასახული იქნება 2023 წლის ბიუჯეტში.

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიმიგურმა გაიხსენა, რომ მიმდინარე ბიუჯეტი დამტკიცდა წინა მოწვევის საკრებულოს მიერ, რომელსაც ეწინააღმდეგებოდა და ფიქრობს რომ უნდა დამტკიცებულიყო, ახალი მოწვევის საკრებულოს მიერ. ასევე აღნიშნა, რომ იმ ფონზე, როდესაც 6 თვის მანძილზე საკრებულო არ ფუნქციონირებდა, რაც იყო ყველა პოლიტიკური აქტორის მინუსი, პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და მათი

მოადგილეებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ კანონის ფარგლებში იყო, მაინც დაიხარჯა ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხები.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 32

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიდიგური)

წინააღმდეგი - 11 (ნ.დუმბაძე, ბ.მექვაბიშვილი, ნ.ფუტყარაძე, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია, ი.ზოიძე, თ.კვაჭაშვილი, კ.ქაშიბაძე, მ.ქობულაძე, ი.ჯინჭარაძე, ნ.ნაცარაშვილი)

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (ა.გვიანიძე, ვ.დარჩია)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი ეხება საშტატო ნუსხაში და თანამდებობრივ სარგოში ცვლილების შეტანას. საჯარო მოხელეებზე შრომის ანაზღაურების წესს განკარგავს საქართველოს შრომის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც იერარქიულად ითვლება სახელფასო რანგები, ჩვენს შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა გადაინაცვლა ერთი რანგით მერვედან მეცხრეში, გარდა ამისა მეათე რანგიც არსებობს. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სახელფასო მიმართულებას სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან მიმართულებით ხელფასის გათანაბრება. საკმაოდ ბევრი წლებია არ შეცვლილა ხელფასი, თუ არ გავითვალისწინებთ, იანვრის დასაწყისში ათ პროცენტთან ზრდას, ეს არი პირველი პრეცედენტი ბოლო 5- 6 წლის შემდეგ. ბათუმის მუნიციპალიტეტი არის ერთ-ერთი, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით და შრომითი კანონმდებლობით დასაქმებულ პირებზე ხელფასის

მიმართულებით საერთო წილით მუნიციპალური ბიუჯეტის მიერ გაწეულ ხარჯვით ნაწილში ყველაზე დაბალ კონტინგენტს მოიხმარს საქართველოს მასშტაბით. აღნიშნულიდან გამომდინარე იზრდება სახელფასო პოლიტიკა და ერთი თვის სახლფასო ფონდი იზრდება 48 915 ლარით.

აზრი

გამოთქვას:

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ დადგენილი სტრატეგია იმის თაობაზე - რაც უფრო დაბალია თანამდებობა, მით უფრო მაღალი იყოს პროცენტულად მატება და რაც უფრო მაღალია თანამდებობა მით უფრო დაბალი, დარღვეულია. დასვა კითხვა: ეს ცვლილებები გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანაში არის ინფლაცია, ფული უფასურდება და ის თნხა, რომელსაც ადრე იღებდა ჩვენი თანამშრომლები არის შეუსაბამო, შესაბამისად დიდია რისკი, პროფესიონალი საჯარო მოხელეების გადინება მოხდეს. ასევე, აღნიშნა, რომ როდესაც ინფლაციაა ქვეყანაში ამ დროს ფულის მასის ზრდა უფრო გააუარესებს ინფლაციის მიმართულებით სიტუაციას. რაზედაც მომხსენებლმა უპასუხა - ხლფასები არ იზრდება იმ მასშტაბით, რომ ინფლაცია გამოიწვიოს. სახელფასო პოლიტიკის ზრდა სამსახურის ხელმძღვანელებზე არის ცხრიდან ათ პროცენტამდე, სპეციალისტებზე თხუთმეტიდან და მეტი, ხოლო ხელფასების ზრდის პოლიტიკა, გასულ წელს დაიწყო საქართველოს მთავრობის მიმართულებით. ჯერ კიდევ დეკემბრის თვეში იყო გაცხადებული, რომ 10%-ით გაიზრდება. შუა პერიოდიდან მოხდება გარკვეული გადახედვა, ხელფასების ზრდა ამ პოლიტიკის ერთგვარი გაგრძელებაა და არა ინფლაციური მოლოდინი.

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარემ, თენგიზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ 2017 წლის ბიუჯეტი, მიღების დროს 96 მილიონს შეადგენდა, კაპიტალური ტრანსფერების და შემოსავლების ზრდის ხარჯზე მოხდა ამ ბიუჯეტის გაზრდა და გადხა 132 000 000 (ას ოცდათორმეტი მილიონი). ანუ 132 000 000 მილიონით შესრულებული სამუშაოების მოცულობა და 300 000 000-ით შესრულებული სამუშაოების მოცულობა არ არის ერთნაირი. საუბარია იმაზე, რომ ბოლო წლებში ხელფასები არ მომატებულა, არ გაზრდილა პრაქტიკულად პოლიტიკური თანამდებობის პირების ხელფასიც. ამჯერად ვიცე-მერის ხელფასი 7 პროცენტით იზრდება, ვიცე-მერი 2014 წელს, რომ ასრულებდა საქმეს

რაოდენობრივად და მოცულობით არ არის იგივე, რასაც ასრულებს დღეს. ნებისმიერი კერძო სტრუქტურა, კერძო ბიზნესი, კერძო საწარმო, შემოსავლების ზრდის შემთხვევაში გარკვეულ ნაწილს, გარკვეულ პროცენტს, იყენებს ხელფასების ზრდაში. ასეა სახელმწიფო სტრუქტურებშიც. როდესაც იზრდება შემოსავლები ის უნდა აისახოს სახელფასო სარგოზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, როცა დაბალი კატეგორიის სპეციალისტებს 20-დან 25%-მდე ეზღვრებათ ხელფასი და საკრებულოს თანამდებობის პირების ხელფასები მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების ადეკვატური ხდება, საკმაოდ ნორმალური პროცესია.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ, მამუკა ქობულაძემ დასვა კითხვა ა(ა)იპ „სასაფლაოების“ თანამშრომლებზე ხელფასების ზრდის თაობაზე, რაზედაც მომხსენებლმა განმარტა, რომ იქ არანაირი დასაქმებული პიროვნება ჯერ-ჯერობით არ არის, საგამოძიებო მოქმედებები არ არის დასრულებული, აღნიშნული ადგილი ექსპლუატაციაშია, ანუ განკუთვნილი საჭიროებებითვის არ არის გახსნილი და ორგანიზაციას ამ მიმართულებით თანამშრომლები არ ჰყავს, არც რაიმე დამატებითი შტატები არ გათვალისწინებულა. ეს არის ქალაქში ადრე არსებული სასაფლაოები. შესაბამისად, რა საქმიანობასაც ახორციელებენ ამ დარგში დასაქმებული თანამშრომლები, მათზე იქნება ხელფასების ზრდა გათვალისწინებული და არა ჩაქვის სასაფლაოს თანამშრომლებზე.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგინილი საკითხი, დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიძიგური)

წინააღმდეგი - 12 (ნ.დუმბაძე, ზ.მექვაბიშვილი, ნ.ფუტკარაძე, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია, ი.ზოიძე, თ.კავაზაშვილი, მ.ქობულაძე, ი.ჯინჭარაძე, ნ.ნაცარაშვილი, ა.გვიანიძე, ვ.დარჩია)

არ ესწრებოდა - 1 (კ.ქაშიბაძე)

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა 30 წუთიანი შესვენება.
სხდომა განახლდა 14⁴⁵ სთ.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის გაგრძელების და სხდომის განახლების თაობაზე.

მოისმინეს: საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (რუსთაველის ქ.N20)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სხდომაზე დასამტკიცებლად გამოტანილია სამი განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის პროექტი. მოქმედი კანონმდებლობით განაშენიანების დეტალური გეგმა მტკიცდება ორ ეტაპად, პირველი ეტაპი არის გეგმა-კონცეფცია, მეორე ეტაპი - ძირითადი გეგმის დამტკიცება. გეგმა-კონცეფციის დროს არგუმენტირებული შენიშვნების გამოთქმის შემთხვევაში ხდება გათვალისწინება, პირველი კონცეფცია მტკიცდება განკარგულებით და დადგენილებით მტკიცდება თვითონ საკუთრივ გეგმა.

რუსთაველის ქ.N20-ში, გეგმარებითი ერთეული შედგება 4700 კვადრატული მეტრისგან, რომელიც შპს „ორიქსის“ მიერ იქნა ინიცირებული. დაიწერა განცხადება ინიცირების თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში, რომელიც დაკმაყოფილებული იქნა. განაშენიანების დეტალური გეგმა კანონმდებლობით მუშავდება, პირველ რიგში უნდა იყოს კვარტალი ქუჩებით შემოსაზღვრული, თუ მოწესრიგებული განაშენიანება არ არის, მაშინ 7000 კვადრატულზე მუშავდება განაშენიანების დეტალური გეგმა. ამ შემთხვევაში ეს მოცემულობა წარმოადგენს კვარტალს. კვარტალი არის შემოსაზღვრული რუსთაველის, თავდადებულის, დუმბაძის და სამსონიას ქუჩებით. განაშენიანების დეტალური გეგმა განაპირობა ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვეების გადამეტებამ კონკრეტულად ერთ ნაკვეთზე. ნაკვეთი არის 1043 კვადრატული, ამ ნაკვეთზე დგას ყოფილი კომისარიატის შენობა და ხდება განაშენიანების გეგმით დადგენილი ერთით ზემდგომი ზონის მინიჭება. თუ არის დადგენილი კ2 კოეფიციენტის 3,5 და ეს არის შერეული ზონა 2, ხდება შერეული ზონის ერთი კოეფიციენტის გეგმით დადგენილი 4,6 მინიჭება, რამაც გამოიწვია განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავება, ანუ ქალაქმშენებლობითი პარამეტრე-

ბის გადამეტება ხდება, ზემდგომი ზონის მიხედვით. შესაბამისად რომ ინიცირება დაკმაყოფილებულ იქნა გაიცა ტექნიკური დავალება და შედგა ხელშეკრულება მხარეებს შორის, მუნიციპალიტეტსა და დაინტერესებულ მხარეს - შპს „ორიქს“ შორის. გაიწერა კონკრეტული ვადები კონცეფციის, გეგმის შემუშავების და დოკუმენტაციის ჩაბარების. გაიცა ტექნიკური დავალება, სადაც გაწერილია ყველა ის მოთხოვნა, რაც უნდა დააკმაყოფილოს შპს „ორიქსმა“. ტექნიკური დავალების მიხედვით მოხდა გეგმარებითი ერთეულის ინვენტარიზაცია, კვლევა, სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებებით: საინჟინრო ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო და სოციოლოგიის კუთხით. საბუთები კანონმდებლობისა და ტექნიკური დავალების შესაბამისად, გადაგზავნილ იქნა სხვადასხვა უწყებებში, მათ შორის: კულტურულ მემკვიდრეობაში, გარემოს დაცვაში, სატრანსპორტოში და ეკონომიკის სამინისტროში. მიღებულ იქნა შესაბამისი პასუხები და შემდგომ უკვე ამ შეჯერებული კვლევების საფუძველზე მოხდა განაშენიანების განვითარების დეტალური გეგმის კონცეფციის დამუშავება. მოქმედი კანონმდებლობით არის მონაცემთა მატრიცა, სადაც ტექსტურად შეიყვანება ამ კვარტლის მონაცემები. ნაკვეთი მონაცემთა მატრიცაში ტექსტურად აისახება საბაზისო რუკებზე, ხოლო ამ საბაზისო რუკაზე შემდგომ ხდება განაშენიანების დეტალური გეგმის უფლებრივი ზონირების დადგენა და საბოლოო სახეს ღებულობს გეგმა-კონცეფცია.

განაშენიანების დეტალური გეგმა ამ შემთხვევაში არის განაშენიანების ესკიზზე ორიენტირებული, ის ანაცვლებს განვითარების ხედვას და პარამეტრების გადამეტების შედეგად ხდება 7 სართულიანი სასტუმროს მშენებლობა. ნაკვეთი თავის დროზე გაყიდულ იქნა ეკონომიკის სამინისტროს მიერ. მე-8 სართული ტექნიკური ფართია, როგორც დამგეგმარებლები აღნიშავენ. ამ შენობას გააჩნია მიწისქვეშა პარკინგი ოცამდე ავტომობილზე, სასტუმროს მრავალბინიან საცხოვრებელ შენობებზე განსხვავებით არ მოეთხოვება 200 კვადრატულ მეტრზე ერთ პარკინგზე მეტი. ასევე სპეციალისტებს (სოციოლოგს, კულტურული მემკვიდრეობის, ტრანსპორტის) თავის დასკვნებში აქვთ ნამსჯელი იქ მიმდებარედ ტრანსპორტების ნაკადებზე და ამ ტერიტორიის შესახებ. სულ სამი კვარტალისგან შედგება ეს კვარტალი. მომიჯნავე კვარტლებში გაცემულია ადრე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ნებართვები და ეხლა ხდება ამ ერთი ნაკვეთის განაშენიანება.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა, ნატალია მიძიგურმა დასვა კითხვა, რომ არის თუ არა გათვალისწინებული საკრებულოს კომისიაზე საკითხის განხილვისას წამოყენებული წინადადება პარკირების თაობაზე, რადგან კვლევები და გამოკითხვა ასაბუთებს ამ ცენტრალურ უბანში პარკირების პრობლემას და თუ არის შესაძლებელი მოეთხოვოს კომპანიას იქვე ან ახლომახლო ტერიტორიაზე თანამედროვე საპარკინგე სივრცის მშენებლობა, რომელიც იქნება ერთგვარი მაკომპენსირებელი ღონისძიება.

მომხსენებელმა განმარტა, რომ სოციოლოგის მთავარი დავალებაა გამოიკვლიოს, თუ რა ესაჭიროება, რა უდგას პრობლემად უბანს და სოციოლოგს თავის დასკვნაში ნამსჯელი აქვს ამასთან დაკავშირებით. პარკინგი მათ

შორის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა და მაკომპენსირებელ ღონისძიებად შეიძლება განისაზღვროს ავტოპარკინგის აგება, მაგრამ საჭიროა შესაბამისი ტერიტორიის გამონახვა, რაც რთულია. თუ უმრავლესობა გადაწყვეტს, რომ მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს თანამედროვე პარკინგის აშენება, მაშინ მეორე ეტაპზე შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს და დაევალოს შპს „ორიქსს“ ამის განხორციელება. მთავარია ადგილი გამოინახოს, რაც სირთულესთანაა დაკავშირებული.

საკრებულო წევრმა, აკაკი გვიანიძემ შემდეგი კითხვებით მიმართა მომხსენებელს:

- შეუსაბამო შენობების თაობაზე: რატომ ხდება, რომ კონცეფციის ყოველი ახალი კვლევა წინა გაცემულ ნებართვებს აკრიტიკებს იგივე უბანში. ამ კონკრეტული სასტუმროს მშენებლობის დანართშიც ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მიმდებარე კვარტალში განხორციელებული მშენებლობები არის შეუსაბამო. არა და ის პროექტიც მიუხედავად ხელისუფლების ცვლილებისა ისევე იმ ადმინისტრაციული ორგანოს მიერაა შესწავლილი, როგორც ახალი;

- შეზღუდვის დოკუმენტის-მორატორიუმის თაობაზე: თუ ჩვენ შევთანხმდით, რომ დროებით მორატორიუმს ვაცხადებთ მშენებლობებზე, მაშინ რატომ არის წარმოდგენილი ეს საკითხი და თუ ადრინდელია, რატომ არ გაცივდა დროულად ნებართვები კომპანიებზე;

- სამშენებლო პროექტების დახარვეზებასთან დაკავშირებით: პირველივე ხარვეზზე ჩერდება პროექტის შესწავლა, ავტორის მიერ ხარვეზის გამოსწორების შემდეგ აღმოჩნდება, რომ მეორე პროექტის გვერდზეც ყოფილა ხარვეზი, ისევ მიაქვს ავტორს ხარვეზის გამოსასწორებლად, შემდეგ პროექტის მესამე გვერდზე, მეოთხე და ასე წლების განმავლობაში იწელება ნებართვების გაცემა, როდესაც ეს ქალაქი ორიენტირებული არის ინვესტიციების მოზიდვაზე, ამ მხრივ ხელი ეშლება ინვესტიციების მოზიდვას და ხომ არ ქმნის ეს კორუფციის რისკებს, რაც აისახება იმაში, რომ ნებართვის გაცემის ზედმეტად გაჭიანურების დროს მენაშენებს უღირთ, რომ გადაიხადონ ვინმესთან ალბათ საფასური, რომ სწრაფად განხორციელდეს მათი პროექტის შეთანხმება.

ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოებიდან გამომდინარე ასეთ მნიშვნელოვან დოკუმენტებზე არ უნდა იქნეს გამოყენებული mail.ru-ს სერვისი.

აღნიშნულს გამოეხმაურა საკრებულოს წევრი, ვაჟა დარჩიაც და დაინტერესდა მშენებლობებზე მორატო-

რიუმის გამოცხადებით, კონკრეტული ვადით და გამოცხადების მიზეზით.

მომხსენებელმა განმარტა:

- ნებართვები გაცემულია რამდენიმე წლის უკან, მაშინდელი კონკრეტული ზონირების რუკის მიხედვით. ეს შენობები, სრულად აკმაყოფილებდა კანონმდებლობას და რომელიმე კონკრეტული ექსპერტი თუ წერს, რომ შეუსაბამოა, ეს მისი მოსაზრებაა. გაცემული ნებართვები სამახურის მიერ იმ დროინდელ კანონმდებლობას სრულიად აკმაყოფილებდა. რაც შეეხება მორატორიუმს - ხელშეკრულებების დადება ხდება დაინტრესებულ პირსა და მუნიციპალიტეტს შორის, სადაც არის ვადები გაწერილი, განაშენიანების გეგმა არის კომპლექსური დოკუმენტი და საჭიროებს ძალიან სიღრმისეულ შესწავლას და შესაბამისად ზოგიერთი ადმინისტრაციული ორგანო აგვიანებს პაუზის გადმოგზავნას უკან, წარმოებები გაგრძელებულია, მაგრამ რაღაც ვადებს საჭიროებს, მთლიანი კვარტლის შესწავლა. პროექტი შემოტანილი იყო შეზღუდვების ვადის ამუშავებამდე და შესაბამისად ხელშეკრულებით გაწერილი ვადების კონტროლის მიზნით ხდება ამ დოკუმენტის გამოტანა და ეს იყო მანამდე სანამ მორატორიუმი ამუშავდებოდა. ვადებს რაც შეეხება დოკუმენტი არის კომპლექსური და მას ჭირდება უფრო მეტი დროის დათმობა, უფრო მეტი შესწავლა, ვიდრე ჩვეულებრივ ნებართვებს.

- პროექტებში ხარვეზები ჩვენი სპეციფიკიდან გამომდინარე, როდესაც მენაშენეს, ნებართვის მაძიებელს ვუდგენთ ხარვეზს და ის ამას შეასწორებს, ერთ ხარვეზს რომ შეავსებს, ის შევსებული შემდგომ ისევ მეორე ხარვეზის დადგენას საჭიროებს და ხარვეზის შევსებას შეიძლება მოყვეს მეორე ხარვეზის მიწერა, რადგან მენაშენემ ან არასრულფასოვნად შეავსო, ან არ გააკეთა ის რაც ხარვეზით იყო მიწერილი, რაც არ ნიშნავს იმას, რომ თანამშრომელმა გულისყურით არ მოეკიდა პროექტს, არ განიხილა და ა.შ.

- ტექნიკური დავალებით გაწერილი იყო, რომ შეზღუდვის დოკუმენტი უნდა ამუშავებულიყო რაღაც ეტაპების გავლის შემდეგ, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ როდესაც მგეგმარებლები აკეთებენ ქალაქის ზონირებას, ქალაქის ხედვაზე მუშაობენ და სანამ გარკვეულ ეტაპზე გადავლენ პარალელურად სამახურმა

არ გასცეს მშენებლობის ნებართვები.

- კონკრეტული ეტაპი, თუ სანამდე იქნება ეს შეჩერებული, ტექნიკურ დავალებაშია განსაზღვრული. იქ არის კონკრეტული ეტაპის დასახელება, იმ ეტაპს რომ მიიღებს მუნიციპალიტეტი, თუ რატომ უნდა ხარვეზი არ დარჩა, შესაბამისად კარგად ჩაიარა პროცედურებმა და კომისიაც როცა მიიღებს შემდგომ ეტაპს, იქ უკვე წყდება შეზღუდვების დოკუმენტი. ეს შემდგომი ეტაპი არის - ზონირებისა და ქალაქის განაშენიანების ხედვის წარმოდგენა, რის შემდგომ აღარ იქნება საშიში მშენებლობის ნებართვების გაცემა სამუაო ჯგუფისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგური)
წინააღმდეგი - 10 (ნ.დუმბაძე, ბ.მექვაბიშვილი, ნ.ფუტყარაძე, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია, ი.ზოიძე, თ.კავაზაშვილი, მ.ქობულაძე, ი.ჯინჭარაძე, ნ.ნაცარაშვილი)
არ ესწრებოდა - 1 (კ.ქაშიბაძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (ა.გვიანიძე, ვ.დარჩია)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (რუსთაველის ქ.N21)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რუსთაველის ქ.N21-ში (დაინტერესებული პირი შპს „გრინკო“), არსებული გეგმარებითი ერთეულის ტერიტორია შეადგენს 19 300 კვადრატულ მეტრს, ხოლო მიწის ნაკვეთი რაზეც ხდება განაშენიანება შეადგენს 978 კვადრატულ მეტრს, სადაც ხდება ქალქთმშენებლობითი პარამეტრების გადამეტება, კ2 კოეფიციენტის ათვისება 8,0-მდე, შენობა 13 სართულიანი იქნება და ავტოპარკინგი განაზღვრული 30 ავტომანქანაზე. კვარტალი წარმოადგენს თავდადებულის,

რუსთაველის, ლუკა ასათიანის და მემედ აბაშიძის ქუჩებს. შესაბამისად აქაც იგივე პროცედურები ჩატარდა, რაც დღის წესრიგით განსახილველ მე-3 საკითხში. აქ მთავარი და მნიშვნელოვანი არის ის, რომ ბარაკული განაშენიანებაა.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრი, ნატალია ძიძიგური დაიენტერეს-და ისევ მაკომპენსირებელი ღონისძიებების შესახებ და აღნიშნა, რომ ბარაკების გარეშე ქალაქის ცენტრი კარგი მიდგომაა, მაგრამ ხომ არ შეუქმნის პრობლემებს სხვა მომიჯნავე სახლებს.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მაკომპენსირებელი ღონისძიებები ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულია, ნამატი კოეფიციენტის დადგენით და რასაც დეტალური გეგმა დაამტკიცებს შემდგომ, მათ შორის 5% გადმოეცეს უნდა მუნიციპალიტეტს, იგივე ბარაკების მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლად. ესაა მაკომპენსირებელი ღონისძიება. თუ კიდევ საჭიროა განისაზღვროს სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიება იგივე ავტოპარკინგის კუთხითაც, შესაბამისად გეგმის ეტაპზე შეიძლება.

საკრებულოს წევრმა, თეკლა კავაზაშვილმა აღნიშნა, რომ მიღებული პრაქტიკაა ევროპაში და ამერიკაში, როცა მშენებელ კომპანიას, დეველოპერს ევალება მშენებლობის ირგვლივ არსებული ინფრასტრუქტურის განვითარება, ეს იქნება, სკოლა, ავტოსადგომი, საბავშვო ბაღი და სხვა არ აქვს მნიშვნელობა, შეიძლება ნებიმიერი რაღაც ჩაისვას წინაპირობაში, რაზედაც მომხსენებელი დაეთანხმა, რომ განაშენიანების დეტალური გეგმა ზუსტად მაგას ითალისწინებს - გადაამეტებინე პარამეტრები, ოღონდ შესაბამისი, უბნისთვის საჭიროებიდან გამომდინარე მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარემ, ნოდარ დუმბაძემ ისაუბრა იმის თაობაზე, რომ პროგრამა „ბათუმი ბარაკების გარეშე“ რატომღაც შერჩევითს დაემსგავსა. ასევე აღნიშნა, რომ ქალაქს სამწუხაროდ პარკირების პრობლემა აქვს და მოცემულ შემთხვევაში 30 ავტომანქანაზე განსაზღვრული ავტოპარკინგი არ არის საკმარისი და ფრაქციის სახელით მხარს ვერ დავუჭერს აღნიშნულ პროექტს.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ მიმართა კითხვით მომხსენებელს და შპს „გრინკოს“ წარმომადგენელს იმის თაობაზე, რომ აღნიშნული მშენებლობა ხომ

არ გააუფასურებს მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მფლობელთა ქონებას და რა იქნება ამ შემთხვევაში მაკომპენსირებელი ღონისძიება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურა ნაკაიძე, ეთანხმება საკრებულოს წევრის აკაკი გვიანიძის გამოსვლას და თავის მხრივ მაკომპენსირებელ ღონისძიებად სთავაზობს იქვე, N3-ში არსებული ეზოს აღებას, სართულების დამატების ხარჯზე.

აღნიშნულ კითხვებთან დაკავშირებით ისაუბრა შპს „გრინკოს“ წარმომადგენელმა და აღნიშნა, რომ განაშენიანება ხდება რუსთაველის ქუჩის გასწვრივ და დ.თავდადებულის ქუჩის მხარეს, რაც უკვე აშენებულია, ხოლო ყრუ კედლის გაგრძელება არ ხდება. მარჯვენა მხარეს კი 12 მეტრამდე ყრუ კედელი აქვს რუსთაველის ქუჩის მხრიდან, დანარჩენი რაც ფანჯრების ნაწილს გააჩნია, დადგენილია ნორმატიული წესით და მაქსიმუმ 4 მეტრია შესვლა. ინსოლაციის პროექტით და განაშენიანების თვალსაზრისითაც ყველაფერი დაცულია. თვით ტერიტორია, ჯამში 978 კვადრატული ორი ნაკვეთისგან შედგებოდა, ბარაკული ტიპის დასახლებაა, 10 ოჯახია და ბუნებრივია დაკმაყოფილდება.

ეს ტერიტორია გადის ნუროლის დაბოლოვებამდე და რაც შეეხება N3-ში არსებულ ეზოს, სხვა ინვესტორები არიან დაინტერესებული.

მომხსენებელმა განმარტა, რომ განაშენიანების გეგმაზე ესკიზია წარმოდგენილი, განაშენიანების დეტალური გეგმა კი არ ითვალისწინებს ვიდაცის შეზღუდვას ღიობების კუთხით. ამას არეგულირებს შესაბამისი კანონმდებლობა და პროექტირების ეტაპზე დეტალურად იქნება განხილული.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგური, ვ.დარჩია)

წინააღმდეგი - 1 (თ.კავაზაშვილი)

არ მიიღო მონაწილეობა - 9 (ნ.დუმბაძე, ბ.მექვაბიშვილი, ნ.ფუტკარაძე, ქლასტაკანიძე, ე.ზარია, ი.ზოიძე, მ.ქობულაძე, ი.ჯინჭარაძე, ნ.ნაცარაშვილი)

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: საკითხი 5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (ფრიდონ ხალვაშის ქ.N88)

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ - მამუკა რამიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, ფრიდონ ხალვაშის ქ.N88-ში განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის შესახებ, რომელსაც ანხორციელებს სამინისტრო, გამოაცხადა კონკურსი განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავებასთან დაკავშირებით, გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია „სითი დეველოპმენტი“, რომელმაც ჩაატარა კვალიფიციური კვლევები ყველა მიმართულებით. ყველა შესაბამისი კვლევა რაც ზემო საკითხში - განაშენიანების დეტალურ გეგმებზე აღინიშნა, აქაც ჩატარებულია სრულფასოვნად კვლევა საინჟინრო ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო და სოციოლოგიის და სხვ. კუთხით. დაყოფილია 9 კვარტლად, N1 კვარტალში უკვე მშენებლობა განხორციელებულია, ტერიტორია არის უსისტემოდ განაშენიანებული, სრულიად ქაოტური მშენებლობაა, მოუწესრიგებელია კომუნიკაციები, ინფრასტრუქტურა საერთოდ მოშლილია. ხდება სახელმწიფოს მიერ ამ ტერიტორიის დაგეგმარება და მოწესრიგება.

აზრი

გამოთქვეს: საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანძემ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს. ასევე დასვა საკითხი - ფრიდონ ხალვაშის გამზირის ქალაქის საგზაო დეპარტამენტისათვის გადმოცემის თაობაზე, რადგან საგზაო სტანდარტებს არ აკამყოფილებს აღნიშნული გამზირი.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ა.გვიანძე, ნ.ძიმიფური, ვ.დარჩია, ნ.დუმბაძე, ზ.მექვაბიშვილი, თ.კავაზაშვილი, ნ.ფუტყარაძე, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია, ი.ზოიძე, მ.ქობულაძე, ი.ჯინჭარაძე, ნ.ნაცარაშვილი)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 6. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ფართების, ბინების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2022 წლის 21 ოქტომბრის N6245/02 (N07-1422294568-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 14 ნოემბრის N285 ბრძანების თანახმად შექმნილი „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ მიერ 2021 წლის 7 დეკემბრის N28 საოქმო გადაწყვეტილებით (რეკომენდაცია N20), 2019 წლის 6 მაისის N23 საოქმო გადაწყვეტილებით, 2017 წლის 8 დეკემბრის N19 საოქმო გადაწყვეტილებით, 2019 წლის 11 აპრილის N22 საოქმო გადაწყვეტილებით, 2019 წლის 26 ივლისის N24 საოქმო გადაწყვეტილებით მიღებულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული და ფიზიკური პირების ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების, საკუთრებაში გადაცემაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი. მათ შორის, დანართით განსაზღვრული ფაქტობრივ მფლობელთათვის უძრავი ქონებების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი. აღინიშნა, რომ განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებას „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების ფაქტობრივ მფლობელთათვის საკუთრებაში გადაცემის წესის“ მოთხოვნებს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა გაეტარებინა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები ხსენებული უძრავი ქონებების სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხვისა და შემდგომში ამ უძრავი ქონებების იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადასაცემად. აღნიშნულის გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და

ეკონომიკის სამინისტრომ განახორციელა 13 (ცამეტი) ერთეული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2022 წლის 8 აპრილის N01-01-10/1642, 2022 წლის 28 ივნისის N01-01-10/2750, 2022 წლის 20 მაისის N01-01-10/2275, 2022 წლის 12 იანვრის N01-01-10/36, 2021 წლის 7 ოქტომბრის N01-01-10/5134, 2021 წლის 8 დეკემბრის N01-01-10/6098, 2021 წლის 31 დეკემბრის N01-01-10/6559 კორესპონდენციებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ეთხოვა, უზრუნველყო 13 (ცამეტი) ერთეული უძრავი ქონების (ს.კ.05.25.10.043.01.047, ს.კ. 05.26.04.002.01.512, ს.კ. 05.33.22.032.01.505, ს.კ. 05.26.03.021.01.058, ს.კ. 05.26.04.062.01.007, ს.კ. 05.21.25.006.01.546, ს.კ. 05.29.37.001.01.001, ს.კ. 05.22.10.001.01.011, ს.კ. 05.30.10.119.01.001, ს.კ. 05.32.09.060.01.005, ს.კ. 05.30.01.006.01.516, ს.კ. 05.33.22.068.01.001 და ს.კ. 05.31.07.154.01.003) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღრიცხვისა და რეგისტრაციისათვის საჭირო, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება. შემდგომში, ამ უძრავი ქონებების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოეცეს, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ (N1/1-5272; N1/1-5274; N1/1-5271; N1/1-5275; 1/1-5269; 1/1-5327 და 1/1-5354) ბრძანებებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონება (საცხოვრებელი ფართები, ბინები - თანახმად დანართისა) შემდგომში, იქ მცხოვრებ ფიზიკურ პირებზე საკუთრებაში გადასაცემის მიზნით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა, ნაზი ფუტკარაძემ დასვა შეკითხვა ქალაქ ბათუმში, ქიქავას ქუჩაზე მცხოვრები ოჯახის თაობაზე, რომლებზეც ვერ მოხერხდა ბინის გადაცემა, რაზედაც მომხსენებლმა განმარტა, რომ აღნიშნულმა პიროვნებამ ვერ წარადგინა ის აუცილებელი დოკუმენტი, რითაც დამტკიცდებოდა მის მიერ ამ ბინის ფლობის ფაქტი. კომისიაში ეს საკითხი შეჩერებულია, ვადის ფარგლებში ფლობის ფაქტის დამდგენი დოკუმენტის წარმოდგენამდე.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ა.გვიანიძე, ნ.ძიმიგური, ვ.დარჩია, ნ.დუმბაძე, ზ.მეჩვავიშვილი, თ.კავაზაშვილი, ნ.ფუტკარაძე, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია,

წინააღმდეგი - 0

არ ესწრებოდა - 1 (კ.ქაშიბაძე.)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე ხდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) მდებარე ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №123-ის მიმდებარედ (ს/კ№05.32.25.175), ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომში მათი განკარგვის მიზნით.

ასევე, როგორც თქვენთვის ცნობილია საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში 151-ე პუნქტად შეტანილი იყო ქალაქ ბათუმში, ინასარიძის №1 და №3 საცხოვრებელ სახლებს შორის არსებული 38.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.24.07.151). ფიზიკური პირის ნოდარ მახარაძის (პ/ნ №61002014613) მიერ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი 2022 წლის 04 ოქტომბრის №19/1422277418-14 განცხადებიდან გამომდინარე, იგეგმება №05.24.07.151 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის, როგორც ქონებაში (კერძო საკუთრებაში) ერთადერთი ალტერნატიული მისასვლელი გზის დანიშნულებით გამოსაყენებლად პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით (იჯარა), ნოდარ მახარაძისათვის გადაცემა. შესაბამისად ამოღებული უნდა იქნას საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხიდან და გეგმიდან (პუნქტი 151).

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31(რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ა.გვიანიძე, ნ.ძიმიგური, ვ.დარჩია, ნ.დუმბაძე, ბ.მექვაბიშვილი, თ.კავაზაშვილი, ნ.ფულტყარაძე, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია, ი.ზოიძე, მ.ქობულაძე, ი.ჯინჭარაძე, ნ.ნაცარაშვილი)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, ინასარიძის №1 და №3 საცხოვრებელ სახლებს შორის არსებული 38,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ როგორც ზემო საკითხში მოგახსენეთ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (№19/1422277418-14, 04.10.2022წ.) მომართა ნოდარ მახარაძემ (№61002014613), რომლითაც ითხოვს მის საკუთრებაში არსებული №05.24.07.151 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ქონებაში როგორც ერთადერთ ალტერნატიულ მისასვლელად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, ინასარიძის №1 და №3 საცხოვრებელ სახლებს შორის მდებარე 38,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ №05.24.07.151) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემას.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება უსასყიდლოდ.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს ნოდარ მახარაძის განცხადება და მის საკუთრებაში არსებულ №05.24.07.151 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ქონებაში, როგორც ერთადერთ ალტერნატიულ მისასვლელად პირდაპირი განკარგვის წესით, 10 წლის ვადით, იჯარით სარგებლობაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმში, ინასარიძის №1 და №3

საცხოვრებელ სახლებს შორის მდებარე 38,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №05.24.07.151).

მიწის ნაკვეთის წლიური სარგებლობის საფასურის განისაზღვრისას გამოყენებული იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ექსპერტიზის დასკვნა (№001460522; 10.03.2022წ.), რომლის თანახმად ქალაქ ბათუმში, ინასარიძის №1 და №3 საცხოვრებელ სახლებს შორის მდებარე 38,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ №05.24.07.151) 1 კვ.მ.-ს საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 1773,0 ლარს; საიჯარო 1კვმ - 5%-88,65 ლარს; საიჯარო 38 კვმ-ს = 3368,70 ლარს. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ 38,0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე სარგებლობის საფასური განისაზღვროს 3370,0 (სამი ათას სამას სამოცდაათი) ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ა.გვიანიძე, ნ.ძიმიგური, ვ.დარჩია, ნ.დუმბაძე, ზ.მექვაბიშვილი, თ.კავაზაშვილი, ნ.ფუტკარაძე, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია, ი.ზოიძე, მ.ქობულაძე, ი.ჯინჭარაძე, ნ.ნაცარაშვილი)

წინააღმდეგი - 0

არ ესწრებოდა - 1 (კ.ქაშიბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 9. „ბათუმის ველოგადაადგილების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი რუსუდან ჟოჟაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბათუმის ველოგადაადგილების გენერალური გეგმა შემუშავებულია რეგიონული პროგრამის „მდგრადი ურბანული მობილურობა სამხრეთ კავკასიაში“ (Mobility4Cities) ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) მიერ და რომელსაც ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).

ველოგადაადგილების გენერალური გეგმა მომზადდა დაინტერესებულ მხარეთა სრული ჩართულობით. დაიტერესებული მხარეები ჩართული იყვნენ პროექტის ფარგლებში გამართულ სემინარებსა და სამუშაო შეხვედრაში. გეგმაზე მომუშავე ჯგუფი შედგებოდა, როგორც მუნიციპალიტეტის ასევე, ველომომხმარებელთა ადგილობრივი ჯგუფების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დაინტერესებული უწყებების წარმომადგენლებისაგან. გეგმაზე მუშაობის პროცესში გამოყენებული იქნა

ველოპოლიტიკის აუდიტის მეთოდოლოგია (BYPAD), აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად ველოპოლიტიკის სამოქმედო გეგმა შემუშავებული იქნა ერთობლივად, დაინტერესებული მხარეების მიერ თვითშეფასების პროცესის საფუძველზე. BYPAD მეთოდოლოგია ბათუმში და ზოგადად სამხრეთ კავკასიაში პირველად იქნა გამოყენებული.

ველოგადაადგილების გენერალური გეგმის მიზანია, რომ ყველას შეეძლოს ველოსიპედით უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილება ქალაქის ყველა ნაწილში, ყოველდღიური მიზნებისათვის. რაც გამოიწვევს მგზავრობისას ავტომობილზე (როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ ტრანსპორტზე) მოთხოვნის/აუცილებლობის შემცირებას და მოსახლეობის ფართო მასებისათვის გადაადგილების გამარტივებას, ასევე შეამცირებს ავტომობილებიდან გამონახობის რაოდენობას, ხელს შეუწყობს სატრანსპორტო ნაკადების (საცობების) განტვირთვასა და საპარკინგე ადგილების პრობლემის მოგვარებას. მოქმედებათა ერთობლიობით ბათუმი გახდება საცხოვრებლად უფრო მეტად კომფორტული და უსაფრთხო ქალაქი.

ბათუმის ველოგადაადგილების გენერალური გეგმა ითვალისწინებს ინტეგრირებული მიდგომების დანერგვას ბათუმის უფრო ველომეგობრულ ქალაქად ჩამოყალიბების მიზნით. გეგმაში მოცემული ღონისძიებები აგრეთვე ხელს შეუწყობს მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის (SUMP) განხორციელებას.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა ნატალია ძიძიგურმა დასვა კითხვა, რომ წარმოდგენილი გეგმა მორგებული თუ არის ქალაქ ბათუმზე, რაზედაც მომხსენებელი დაეთანხმა და განმარტა, რომ პირველ ეტაპზე ჩატარდა აუდიტი, ძირითადად არსებული გარემოებები შესწავლილია, ეყრდნობა ინტეგრირებულ გეგმას და დეტალურადაა შემოთავაზებული.

საკრებულოს წევრმა, ნინო ცხვარაძემ დასვა კითხვა, თუ რა ღონისძიებები გატარდება ცნობიერების ამაღლების მიზნით, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ არის ღონისძიებები შემოთავაზებული ცნობიერების ამაღლების მიზნით, მათ შორის ელექტრონულიც - სოციალურ ქსელში შეიქმნება ჯგუფები, სადაც კითხვა-პასუხიც იქნება შესაძლებელი, არის ასევე გათვალისწინებული მოეწყოს ველოშეკეთების ადგილები და ადგილზევე ხდებოდეს დატრენინგება დაინტერესებული პირების.

საკრებულოს წევრმა, მამუკა ქობულაძემ მიმართა კითხვით, მოიცავს თუ არა მთელ ქალაქს და მხოლოდ ქალაქის ცენტრალური ნაწილისთვის ხომ არაა განკუთვნილი, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, პირველ რიგში

პრიორიტეტულად ცენტრალური ნაწილი არის შემო-
თავაზებული, ხოლო შემდეგ არის დამატებითი ქსელი,
რომელიც გარეუბნებსაც მოიცავს.

**სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა
კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე,
ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე,
ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში,
ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე,
ა.გვიანიძე, ნ.ძიმიგური, ვ.დარჩია, ნ.დუმბაძე, ზ.მექვაბიშვილი,
თ.კვაჭაშვილი, ნ.ფუტყარაძე, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია,
ი.ზოიძე, მ.ქობულაძე, ი.ჯინჭარაძე, ნ.ნაცარაშვილი)

წინააღმდეგი - 0

არ ესწრებოდა - 1 (კ.ქაშიბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 10.** „მუნიციპალიტეტის გარდაქმნის პორტფელის“
ფარგლებში გრანტის მიღებასა და ხელშეკრულების გაფორმე-
ბაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპა-
ლიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური
პოლიტიკის სამსახურის უფროსი რუსუდან ჟოჟაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ 2021 წლის დეკემბერში განაცხადი წარადგინა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამდივნოს UNDP-ს ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) მეორე ფაზის ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მუნიციპალიტეტებისთვის გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში „მუნიციპალური ტრანსფორმაციის პორტფელი“. საქართველოდან გამარჯვებულად გამოვლინდნენ ბათუმის და ქუთაისის მუნიციპალიტეტები.

გამარჯვებული მუნიციპალიტეტებისთვის გამოცდილი საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით მომზადდება ტრანსფორმაციის პორტფელი, რომელიც შეიმუშავებს მიდგომებს და კომპლექსურ მეთოდებს ქალაქის წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ. პროექტი გრძელდება 2-დან 3 წლამდე რამდენიმე ეტაპად, თითოეულ ეტაპზე მოხდება განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვა და შესაბამისი თანხის გადმოცემისა და განკარგვის თაობაზე საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება.

UNDP-ს ადგილობრივი და სტამბულის ოფისის წარმომადგენელთა, ასევე, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის (Cora foundation) ექსპერტთა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით ტრანსფორმაციის პორტფელის რამდენიმე

მიმართულებას შორის შეირჩა „ბათუმი - ახალი სტარტაპ ეკოსისტემა საქართველოში“ და ამ მიმართულებით დაიწყო მუშაობა, განზრახვის, მიზნების, საწყისი ღონისძიებებისა და აქტივობების პრიორიტეტიზაციისა და შემუშავებისათვის, პარტნიორობების დასამყარებლად. ამ დროისათვის მიმდინარეობს მუშაობა ასევე, UNDP-სთან პირველ ეტაპზე გასაფორმებელი გრანტის გადმოცემის ხელშეკრულების მომზადებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ა.გვიანიძე, ნ.ძიძიგური, ვ.დარჩია)

არ მიიღო მონაწილეობა - 10 (ნ.დუმბაძე, ბ.მექვაბიშვილი, თ.კავაზაშვილი, ნ.ფუტყარაძე, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია, ი.ზოიძე, მ.ქობულაძე, ი.ჯინჭარაძე, ნ.ნაცარაშვილი)

არ ესწრებოდა - 1 (კ.ქაშიბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს:ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დადგენილებაში შედის რამდენიმე ცვლილება, როგორც ტექნიკური ხასიათის, ასევე საკითხის რამდენიმე მუხლის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. როგორც ცნობილია სამგზავრო პლასტიკური ბარათების გასცემას, ემსახურება საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია „მეტრო სერვის პლიუსი“. ცვლილების შეტანის შემდეგ ინერგება ახალი

საგადახდო სისტემა, რომელიც გულისხმობს, რომ ნებისმიერი ბანკის, ნებისმიერი ტიპის ბარათით იქნება „ვიზა“ თუ „მასტერქარდი“ მოხდება მგზავრობის საფასურის გადახდა. ამასთან ერთად უნდა მოხდეს ახალი პროგრამული უზრუნველყოფა და ვალიდატორების შეცვლა ავტობუსებში.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა, ვაჟა დარჩიამ აღნიშნა, რომ საკითხი კარგია, თბილისში უკვე კარგახანია ასეა და პრაქტიკული გახდება. ამ მიმართულებით არის ერთი პრობლემა ასაკთან დაკავშირებით, სკოლის მოსწავლეებს ხან რჩებათ, ხან სხვისი წამოიღეს და ასე შემდეგ, აჯარიმებენ. ამ მიმართულებით რომ დააჯარიმოს მოსწავლეები რამდენად შეიძლება, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ კანონის თანახმად 16 წლამდე ბავშვების დაჯარიმების უფლება არ აქვთ.

ასევე აღნიშნა ტანსპორტის გადაადგილების დროს კონტროლიორების საქმიანობის თაობაზე, რომლებიც გაჩერებებზე ახდენენ სამგზავრო ბარათების გადამოწმებას, რაცას დიდი დროს სჭირდება. მომხსენებელს მიმართა თხოვნით, რომ კონტროლიორების მიერ ბარათების გადამოწმება მოხდეს მოძრავ ავტობუსში და არა გაჩერებებზე, რაც უფრო პრაქტიკულს და მოსახერხებელს გახდის ავტობუსით მგზავრობას.

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ მომხსენებელს კითხა თუ არის შემუშავებული პოზიცია მის მიერ ადრე დაყენებული ინიციატივის თაობაზე, მგზავრობის ნულოვან ტარიფთან დაკავშირებით

საკრებულოს წევრმა, ლევან დოლიძემ, აღნიშნა ტარიფებთან, გადასახადებთან დაკავშირებით სამარშრუტო ტრანსპორტის მძღოლების პრეტენზიის თაობაზე, ასევე აღნიშნა, რომ ზოგიერთმა არ იცის თუ რა ინფრასტრუქტურა უნდა იყოს ტრანსპორტის შიგნით მოწყობილი, რომ მგზავრობა იყოს კომფორტული და უკეთესად ემსახუროს ქალაქს, მიმართა კითხვით მომხსენებელს, თუ აქვს პერიოდულად შეხვედრები, გასაუბრებები სამარშრუტო მძღოლებთან აღნიშნულ ტარიფებთან დაკავშირებით, რაზედაც განმცხადებელმა განმარტა, რომ დაახლოებით ათ დღეში კონკურსი გამოცხადდება სამარშრუტო ხაზებზე და ამიტომ თითოეულ მძღოლთან მოხდება შეხვედრა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ირაკლი თავდგირიძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრმა ლევან დოლიძემ სწორად დააყენა საკითხი, რადგან თვითონ კომპანიები საჭირო დონეზე ვერ ურთიერთობენ ამ მძღოლებთან.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნატალია ზოიძემ აღნიშნა შემდეგი: წინა მოწვევაში მოისმინა რამდენიმე მძღოლის ასეთივე გულისტკივილი, რაზეც ეხლა არის საუბარი და ძალიან მარტივი გზა არსებობს, რაც მათთვისაც არაერთხელ აუხსნია. წესდება ითვალისწინებს - ნებისმიერს შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა იმ კონკურსში, რომელიც ეხლა მალე გამოცხადდება და შესაბამისად თავად აწარმოოს მოლაპარაკებებიც და თავად იყოს ინფორმირებული ტარიფებზეც, გრაფიკზეც, მოსაკრებლებზეც. ასე რომ ნებისმიერ სამარშრუტო ტრანსპორტის მძღოლს, რომელსაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს კონკურსში სამარშრუტო ხაზებზე, უფლება აქვს თავად დარეგისტრირდეს ყოველგვარი შპს-ბის გვერდის ავლით.

საკრებულოს წევრმა, ბაჩი მექვაბიშვილმა აღნიშნა, რომ ერთი თვის განმავლობაში (12.09-დან - 12.10-მდე) მუნიციპალური ინსპექციის მიერ 1847 პირი არის დაჯარიმებული და მიმართა კითხვით, შემთხვევით ხომ არ არის ეს მოსახლეობა დაბალი ღირებულებით იმასთან შედარებით, როცა მარშრუტის მძღოლებს და კომპანიებს ვერ ვაჯარიმებთ და ისეთი მექანიზმი ვერ ვიპოვეთ, რომ აღვკვეთოთ ის ღონისძიება, რომელიც 70 ან 50 თეთრის საკითხს ეხება. მოსახლეობა უკვე გადაერთო იმაზე, რომ 70 თეთრს იხდის ყველა და არცერთ მარშრუტის მძღოლს საჩვენებლად არ აქვს გამოკრული მგზავრობის გადასახადი და თუ შესაძლებელია ერთად გადავწყვიტოთ ეს პრობლემა.

საკრებულოს წევრმა, გიორგი ლომთათიძემ აღნიშნა, მოსახლეობასთან შეხვედრისას მათი ერთ-ერთი თხოვნა იყო, თამარის დასახლებაში სამარშრუტო ტაქსი N27, 28, 29-დან დარჩა მხოლოდ N28 და 2 ნომერი და 3 ნომერი ავტობუსისგან, მხოლოდ 3 ნომერი ავტობუსი, რაც არ არის საკმარისი მაცხოვრებლებისათვის და დასვა კითხვა, თუ არის შესაძლებელი დაემატოს ავტობუსი ან სამარშრუტო ტრანსპორტი.

მომხსენებელმა უპასუხა შეკითხვებს და აღნიშნა, რომ თითქმის ყოველკვირეულად ექვსივე კომპანია, რომელიც ემსახურება ქალაქში მგზავრთა გადაყვანას ჯარიმდება იმ

სანებრთვო პირობის დარღვევაზე, რასაც ქვია ფასის არ გამოკვრა. ხოლო ნულოვან ტარიფთან დაკავშირებით ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა და შემდეგში გეცნობებათ. ასევე როგორც ცნობილია 65 ახალი ავტობუსი იქნა შეძენილი, რომლითაც მოხდება ძველი ავტობუსების ჩანაცვლება და თავიდან გადანაწილება, მოხდება შესწავლა მგზავრთა ნაკადების, თუ სად უფრო მეტი მგზავრი არის და სად საჭიროა მოხდეს ახალი ავტობუსის და მეტი სამარშრუტო ტრანსპორტის გაშვება. მოხდება დამატება თამარის დასახლებაშიც. არის კიდევ რამდენიმე ლოკაცია, სადაც პრობლემატურია მგზავრთა გადაყვანა სადამოს საათებში და მოხდება გადანაწილება ამ ახალი ავტობუსების. როგორც ითქვა კონკურსი გამოცხადდება ამ დღეებში და გამოსწორდება მდგომარეობა.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ა.გვიანიძე, ნ.ძიმიგური, ვ.დარჩია, ნ.დუმბაძე, ზ.მექვაბიშვილი, თ.კვაჭაშვილი, ნ.ფუტყარაძე, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია, ი.ზოიძე, მ.ქობულაძე, ი.ჯინჭარაძე, ნ.ნაცარაშვილი)

წინააღმდეგი - 0

არ ესწრებოდა - 1 (კ.ქაშიბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს.ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი ემზარ ქავჭარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსების სამარშრუტო ხაზების სქემებში შევიდა ცვლილებები. კონკურსის გამოცხადების შემდეგ თავიდან მოხდა მოძრაობის ინტერვალების და ავტობუსების რაოდენობის განსაზღვრა. ასევე თითოეულ კომპანიას აქვს ვალდებულება, რომ ჯპეს-ით აღჭურვოს სატრანსპორტო საშუალება. მოხდება დაკვირვება და მგზავრობის ინტერვალის გაკონტროლება. ხელშეკრულებაში მკაცრად იქნება განსაზღვრული სამუშაოს დაწყების და დასრულების დრო. ასევე შესძლებლობა მიეცემათ დილის და საღამოს საათებში ინტერვალის შეცვლის, რადგან შესაძლებელია საღამოს 9 საათის შემდეგ 5 წუთიანი ინტერვალით ვეღარ იმოდროს და მოხდეს ინტერვალის გაზრდა, მაგრამ პიკის საათებში მოხდეს მგზავრობის ინტერვალის დამატება ან შემცირება.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა, მამუკა ქობულაძემ ისაუბრა N7, N7ა და N12 მარშრუტების N29-ე საჯარო სკოლასთან მიმოსვლის თაობაზე. კერძოდ, დილით, როდესაც სწავლა იწყება და შუადღით, როდესაც მოსწავლეები და პედაგოგები გადიან სკოლიდან, სკოლასთან ახლოს მივიდეს აღნიშნული ტრანსპორტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ მომხსენებელს მიმართა და აღნიშნა, რომ როცა მოსწავლეების დილით თუ შუადღით და ასე შემდეგ მგზავრობას ეხება საკითხი, შეიქმნას შესაბამისი გარემო და როცა დასრულდება ტრანსპორტის გადანაწილება/ჩანაცვლება ეს პრობლემები მაქსიმალურად იქნეს ამოწურული.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ა.გვიანიძე, ნ.ძიმიგური, ვ.დარჩია, ნ.დუმბაძე, ზ.მექვაბიშვილი, თ.კავაზაშვილი, ნ.ფუტკარაძე, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია, ი.ზოიძე, მ.ქობულაძე, ი.ჯინჭარაძე, ნ.ნაცარაშვილი)

წინააღმდეგი - 0

არ ესწრებოდა - 1 (კ.ქაშიბაძე.)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 13. „გაეროს ბავშვთა ფონდისგან გრანტის მიღებაზე საქართველოს მთავრობისთვის შუამდგომლობის

წარდგენასა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - სოფიო მიქელაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბათუმის მერია და გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF-ი მჭიდროდ თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის მიერ ბავშვთა უფლებების დაცვასა და ბავშვის უფლებათა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით. მითითებული თანამშრომლობის ფარგლებში UNICEF-მა მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს N10/1422293246-14 წერილით მომართა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და შესთავაზა ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ადგილობრივი მოწყვლადი და უკრაინელი ბავშვების დასახმარებლად მხარდაჭერა გრანტის სახით. კერძოდ, 3696 ბავშვისთვის ჯამში 868 560,0 ლარის გადაცემა, თითოეულ ბავშვზე 235,0 ლარის ოდენობით. ამ დახმარების გაცემას UNICEF-ი გეგმავს მიმდინარე წლის ბოლომდე, ვინაიდან მისი მიზანია ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებული სირთულეების, როგორცაა სეზონზე ოჯახების გაზრდილი საჭიროებების დაკმაყოფილება.

წინამდებარე პროექტის ძირითადი არსია ბათუმის მერისთვის გრანტის მისაღებად საქართველოს მთავრობისთვის შუამდგომლობის წარდგენა და გაეროს ბავშვთა ფონდისთვის „UNICEF“ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე საკრებულოს თანხმობის გაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ა.გვიანიძე, ნ.ძიმიგური, ვ.დარჩია, ნ.დუმბაძე, ზ.მექვაბიშვილი, თ.კავაზაშვილი, ნ.ფუტკარაძე, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია, ი.ზოიძე, მ.ქობულაძე, ი.ჯინჭარაძე, ნ.ნაცარაშვილი)

წინააღმდეგი - 0

არ ესწრებოდა - 1 (კ.ქაშიბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 14. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი სოფიო მიქელაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადენილების პროექტის მიხედვით განსაზღვრება პირის/ოჯახის უსახლკაროდ რეგისტრაციის კრიტერიუმები, პროცედურები და პირობები.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის წესი არ ვრცელდება იმ პირებზე/ოჯახებზე, რომელთა რეგისტრაცია რეგულირდება სხვა კანონმდებლობით.

პროექტის არსია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციის წესის“ დამტკიცება; „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ფორმის და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის ფორმის დამტკიცება.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ზურაბ ნაკაიძემ დასვა კითხვა, თუ რის საფუძველზე არის დადგენილი, წესში ბათუმში ჩაწერის ვადის 2 წლით განსაზღვრა, რაზეც მომხსენებელმა განმარტა, რომ ყველა მუნიციპალიტეტებში ანალოგიური ვადაა განსაზღვრული.

საკრებულოს წევრი, აკაკი გვიანიძე დაინტერესდა საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული საკითხით და აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი ჩვენი მოქალაქე სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტზე გადადის იმისთვის, რომ ვიღაცას ტვირთი გადმოატანინოს და იქედან რაღაც მიზერული თანხა დარჩეს, ამ შემთხვევაში ეს რა გავლენას ახდენს ან რა ლოგიკა არის აღებული, როდესაც საზღვრის კვეთის მცირე რაოდენობას ვუთითებთ ერთ-ერთ კრიტერიუმად, წარმოუდგენელია სადღაც 3 თუ 4 ლარი, თუნდაც 10 ლარი, გააკეთა ადამიანმა დღეში, ამით რაღაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულიყო მისი პირობები. ალბათ უფრო მეტი დაზუსტება იქნება საჭირო, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ აქ კონკრეტულად ჩაშლილი არის რა შემთხვევაში შეიძლება, რომ ჩავთვალოთ ან პირი დავარეგისტრიროთ

უსახლკაროდ, როდესაც ის სწავლისთვის, ჯან-მრთელობის მდგომარეობისთვის არის გადასული ამ შემთხვევაში ეს არის გათვალისწინებული, თუ მუდმივად მიდიან სამუშაოდ, შემოსავალს იმდენს მიიღებენ, რომ შემდგომ მათ უზრუნველყონ ოჯახი, რათქმა უნდა ისინი ვერ დარეგისტრირდებიან უახლკაროთა მონაცემებში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ მთავარი მიზანი ამ წესის მიღების არის ოჯახის ან პირის უსახლკაროდ რეგისტრაციის მონაცემთა ბაზის შემუშავება და ფაქტიურად როცა ბაზა შეიქმნება, საშუალება მოგვეცემა ჩვენი მუნიციპალიტეტის რესურსის მიხედვით ვიმსჯელოთ, თუ რა შეგვიძლია მათთვის გავაკეთოთ. ასევე სამუშაო პროცესში თუ ხარვეზები გამოჩნდება, ყოველთვის გვექნება იმის შესძლებლობა, რომ დავხვეწოთ.

საკრებულოს თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ კითხვები საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით საკითხის კომისიის სხდომებზე განხილვის დროსაც იყო, მაგრამ იმდენად კარგი პროგრამაა, რომ არ გვინდა ხალხი დარჩეს ამ პროგრამის მიღმა საზღვრის ერთი დღით გადაკვეთის გამო. ჩვენი რეგიონი საზღვრისპირაა და სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად ვერ განვსაზღვრავთ. დაიწყება პროცესი, დავაკვირდეთ და შეიძლება არც დარჩეს საჭირო ცვლილებების შეტანა.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ა.გვიანიძე, ნ.ძიმიგური, ვ.დარჩია, ნ.დუმბაძე, ზ.მექვაბიშვილი, თ.კვაჭაშვილი, ნ.ფუტყარაძე, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია, ი.ზოიძე, მ.ქობულაძე, ი.ჯინჭარაძე, ნ.ნაცარაშვილი)

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: საკითხი 15. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა წარმოადგინა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივ სარგოებსა და საშტატო ნუსხაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი, რომლის შესაბამისად იზრდება საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების სარგოების რაოდენობა.

აზრი

გამოთქვეს: საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ დასვა შეკითხვა კომისიაზე გამოთქმული შენიშვნა გათვალისწინებულ იქნა თუ არა, საკრებულოსა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოს გატოლების თაობაზე, რაზედაც მომხსენებელი დაეთანხმა.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.ძიმიგური, ვ.დარჩია)

წინააღმდეგი - 2 (ა.გვიანიძე, მ.ქობულაძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 9 (ნ.დუმბაძე, ბ.მექვაბიშვილი, ნ.ფუტყარაძე, თ.კავაზაშვილი, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია, ი.ზოიძე, ი.ჯინჭარაძე, ნ.ნაცარაშვილი)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 16. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე

მომხსენებელმა აღნიშნა, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესში ცვლილების შეტანის თაობაზე, რის თანახმადაც იზრდება საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯი საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს ზრდის შესაბამისად, არაუმეტეს 15 %-სა და შეადგინა 820 ლარი. აქედან 410 ლარი არის მოსახლეობასთან შეხვედრებისათვის გათვალისწინებული, 205 ლარი საკრებულოს კომისიებზე და 205 ლარი საკრებულოს სხდომებზე დასწრებისათვის.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯი, არ უნდა იყოს დაკავშირებული საკრებულოს თავმჯდომარის ხელფასთან და სახელფასო პოლიტიკაზე სადეპუტატო უფლებამოსილებების განხორციელების თანხის მიზმა არასწორად მიაჩნია, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობასთან.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 20 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხოიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ნ.მიძიგული, ვ.დარჩია)

წინააღმდეგი - 3 (ი.ჯინჭარაძე, ა.გვიანიძე,მ.ქობულაძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 10 (ნ.დუმბაძე, ბ.მექვაბიშვილი, ნ.ფუტყარაძე, თ.კავაზაშვილი, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია, ი.ზოიძე, ნ.ნაცარაშვილი)

არ ესწრებოდა - 1 (კ.ქაშიბაძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 17. „ქალაქ ბათუმში, ნ. დუმბაძის ქუჩა N3-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე არქიტექტორ კახა ჯავახიშვილის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს:ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ლევან ცხომიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, ბათუმში, ნ. დუმბაძის ქუჩა N3-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე არქიტექტორ კახა ჯავახიშვილის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

კახა ჯავახიშვილი იყო ივანე ჯავახიშვილის ოჯახის ღირსეული წევრი, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, აჭარის არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე. მისი ნამუშევრებია, ბათუმში საზაფხულო თეატრი, გორგილაძის ქუჩაზე მდებარე ხელოვნების მუზეუმი და მახინჯაურში არსებული თეთრი რესტორანი, რომელიც ქალაქის სავიზიტო ბარათი იყო და არის დღესაც.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრმა, აკაკი გვიანიძემ მადლობა გადაუხადა ინიციატორს - ოლლა ჟღენტს, ასეთი ღირსეული პიროვნების შესახებ საკითხის წარმოდგენისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31 (რ.ჯინჭარაძე, ი.თავდგირიძე, ნ.ზოიძე, ზ.ნაკაიძე, მ.გოგუაძე, დ.მახარაძე, ლ.ცხომიძე, გ.მგელაძე, ნ.ცინცაძე, თ.აფხაზავა, ა.ბალაძე, რ.სირაბიძე, რ.ხალვაში, ნ.ცხვარაძე, ლ.ბერიძე, გ.ლომთათიძე, ლ.დოლიძე, თ.ბერიძე, ა.გვიანიძე, ნ.ძიმიგური, ვ.დარჩია, ნ.დუმბაძე, ბ.მექვაბიშვილი, თ.კავაზაშვილი, ნ.ფუტყარაძე, ქ.ლასტაკანიძე, ე.ზარია, ი.ზოიძე, მ.ქობულაძე, ი.ჯინჭარაძე, ნ.ნაცარაშვილი)

წინააღმდეგი - 0

არ ესწრებოდა - 1 (კ.ქაშიბაძე)

და ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ, რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე

ბიურომ

გადაწყვიტა: 1. ფრაქცია „ახალი ოპოზიცია“ გატარდეს რეგისტრაციაში.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ფრაქციის „ახალი ოპოზიცია“
თავმჯდომარეა საკრებულოს წევრი - გიორგი ცინცილაძე.